

# კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი

## შინაარსი

მუხლი 1	ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 2	აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითადი პრინციპები და ფუნდამენტური ღირებულებები .....	3
მუხლი 3	აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ძირითადი სახეობები.....	3
მუხლი 4	პლაგიატის ძირითადი სახეები.....	4
მუხლი 5	პლაგიატის თავიდან არიდება .....	5
მუხლი 6	პლაგიატის პრევენცია .....	5
მუხლი 7	პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე.	5
მუხლი 8	აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპ(ებ)ის დარღვევის ფაქტებზე სანქციის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი გარემოებები.....	6
მუხლი 9	მონაცემების შენახვა და ანგარიშგება.....	7
მუხლი 10	დასკვნითი დებულებები.....	7

## მუხლი 1 ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე კოდექსი შექმნილია, განსაზღვრავს და არეგულირებს კავკასიის უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს და დარღვევასთან დაკავშირებულ შედეგებს.
- 1.2 აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული/დამხმარე/მოწვეული პერსონალისთვის (შემდგომში „პერსონალი“) და სტუდენტებისთვის.
- 1.3 უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები იზიარებენ უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, პატივს სცემენ და იცავენ მის ღირებულებებს; აღიარებენ და ეთანხმებიან უნივერსიტეტის უფლებას, წინამდებარე დოკუმენტითა და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი დებულებებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა განიხილოს მათ მიმართ შესაბამისი ზომების გატარების საკითხი.
- 1.4 პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული წესები.

## მუხლი 2 აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითადი პრინციპები და ფუნდამენტური ღირებულებები

- 2.1 კავკასიის უნივერსიტეტის თითოეული წევრისათვის აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას.
- 2.2 აკადემიური კეთილსინდისიერება ეფუძნება პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, პატივისცემის და პასუხისმგებლობის ღირებულებებს.
- 2.3 აკადემიური სივრცის თითოეულ წევრს გააზრებული აქვს, რომ საუნივერსიტეტო საქმიანობაში დაუშვებელია აკადემიური თაღლითობა, პლაგიატი, ტყუილი, გაყალბება, დუბლირება, ეთიკური გადაცდომები და პროფესიული გულგრილობა.
- 2.4 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა სავალდებულოა კავკასიის უნივერსიტეტის წევრების ყოველდღიურ საქმიანობაში - სწავლაში, სწავლებასა და კვლევაში.
- 2.5 კავკასიის უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოებასთან გაზიარებას.
- 2.6 უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აკადემიური სივრცის თითოეული წევრის მიმართ დადგენილი/აღიარებული პრინციპებისა და ღირებულებების დაცვის კონტროლს.

## მუხლი 3 აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ძირითადი სახეობები

- 3.1 აკადემიური თაღლითობა** - საკუთარი თავის წარმოსაჩენად ან სარგებლის მისაღებად გამიზნული, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა:

- 3.1.1 აკადემიური ნაშრომის ან რაიმე სხვა სახის მასალის (სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ვიდეო-აუდიო მასალა და სხვ.) ავტორის ნებართვის გარეშე მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება.
- 3.1.2 დახმარების უნებართვოდ გაწევა და მიღება (კარნახი, გადაწერა, სხვა სტუდენტებისთვის მუშაობაში ხელის შეშლა, ლექტორის მიერ სტუდენტისთვის საგამოცდო დავალების ნიმუშის მიწოდება, სხვის მაგივრად გამოცდაზე გასვლა და ა.შ.).
- 3.1.3 სხვის მაგივრად ნაშრომის/დავალების შესრულება ან სხვისი ნამუშევრის მითვისება ან შექმნა.
- 3.1.4 მიღებული შედეგების/შეფასების გაყალბება ან გაყალბების მცდელობა.
- 3.2 **ტყუილი** - განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება აკადემიური მოთხოვნების შერულების გასაადვილებლად ან სხვა პირებთან შედარებით უპირატესობის მოსაპოვებლად:
  - 3.2.1 ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის მოგონება შეფასების ან/და სხვა სარგებლის მისაღებად.
  - 3.2.2 მონაცემების, წყაროების ან ინფორმაციის გაყალბება.
  - 3.2.3 გამოცდის გაცდენის მიზნით არასწორი ინფორმაციის მიწოდება.
  - 3.2.4 ოფიციალური მიმოწერის გაყალბება.
  - 3.2.5 ავტორისათვის ისეთი აზრის მიწერა, რომელიც მას არ გამოუთქვამს.
- 3.3 **პროფესიული გულგრილობა** - აკადემიური პერსონალის მიერ პროფესიული ვალდებულებების უგულვებელყოფა, რაც გამოიხატება დაუდევრობით ან/და გულგრილობით სტუდენტების ან კოლეგების მიმართ.
- 3.4 **პლაგიატი** (აკადემიური სიყალბე) - სხვისი სიტყვების, იდეების ან მონაცემების გამოყენება საკუთარი სახელით, წყაროს მითითების გარეშე:
  - 3.4.1 სხვისი სიტყვების, იდეების ან მონაცემების გამოყენება საკუთარი სახელით, ციტირების და წყაროს მითითების გარეშე.
  - 3.4.2 პერიფრაზირებული იდეების, მოსაზრებების ან თეორიის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე.
  - 3.4.3 სხვისი ინტელექტუალური საკუთრების, შესრულებული ნაშრომის ან ნაშრომის ნაწილის მითვისება.

#### **მუხლი 4 პლაგიატის ძირითადი სახეები**

- 4.1 **პირდაპირი პლაგიატი** - სხვისი ნაშრომიდან ან წყაროდან სიტყვასიტყვით გადმოწერა ციტირების ან სხვა ტიპის მითითების გარეშე.
- 4.2 **თვითპლაგიატი** - საკუთარი უკვე გამოყენებული მოსაზრებების, ნაშრომის ან ნაშრომის ნაწილის გამეორება მითითების გარეშე.
- 4.3 **მოზაიკური პლაგიატი** - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება ან/და პერიფრაზირება ახალი ტექსტის მისაღებად, როდესაც არ ხდება ცალკეული ავტორების მითითება და ციტირება.
- 4.4 **შემთხვევითი პლაგიატი** - კვლევის საწყის ეტაპზე დაუდევრობით ციტირების და წყაროს მითითების გარეშე სხვისი მოსაზრებების ან/და ტექსტის გამოყენება, თუნდაც პერიფრაზირებული ფორმით.

## **მუხლი 5 პლაგიატის თავიდან არიდება**

- 5.1 პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით ნაშრომის შემუშავებისას:
  - 5.1.1 უნდა მიეთითოს გამოყენებული ინფორმაციის ზუსტი წყარო;
  - 5.1.2 უნდა აღინიშნოს იმ ადამიან(ებ)ის დამსახურება, ვისი დახმარებითაც მოხდა წერილობითი ნაშრომის შესრულება;
  - 5.1.3 გამოყენებული ციტატები უნდა ჩაისვას ბრჭყალებში შეუცვლელად, წყაროს ზუსტი დასახელებით;
  - 5.1.4 არ უნდა იქნას გამოყენებული ინტერნეტში განთავსებული მასალები წყაროს მითითების გარეშე;
  - 5.1.5 ავტორის იდეების პერიფრაზი საჭიროა ჩამოყალიბდეს ორიგინალისგან ენობრივად განსხვავებულად, თუმცა არ უნდა შეიცვალოს ძირითადი აზრი;
  - 5.1.6 საჭიროა საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული, მასალის ციტირება;
  - 5.1.7 უნდა მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის ყველა წყარო სრულად და ზუსტად;
  - 5.1.8 აუცილებელია მასალა შემოწმდეს პლაგიატის არიდების პროგრამის მეშვეობით.

## **მუხლი 6 პლაგიატის პრევენცია**

- 6.1 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი ატარებს ერთიან პოლიტიკას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობადობის გასაზრდელად.
- 6.2 პლაგიატის პრევენციის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სავალდებულო სასწავლო კურსის სახით ისწავლება აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები.
- 6.3 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები (შემდგომში „ნაშრომი“) და სადოქტორო დისერტაციები მოწმდება პლაგიატის არიდების სპეციალური პროგრამის მეშვეობით.
- 6.4 პლაგიატის/მსგავსობის დადგენის შესახებ დასკვნას წერს შესაბამისი ნაშრომის/დისერტაციის ხელმძღვანელი.
- 6.5 პლაგიატის დადგენის შემთხვევაში ნაშრომი/დისერტაცია არ დაიშვება დაცვაზე, ხოლო მსგავსობასთან დაკავშირებული რეაგირების პროცედურები რეგულირდება შესაბამისი სკოლის ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ით.
- 6.6 ლექტორებს უტარდებათ ტრენინგები და ეძლევათ რეკომენდაცია სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებული რეფერატები, ესეები და პროექტები შემოწმდეს პლაგიატის არიდების სპეციალური პროგრამის მეშვეობით.
- 6.7 უნივერსიტეტი ახორციელებს საგამოცდო პროცესების მონიტორინგს პლაგიატის და არაკეთილსინდისიერი საქციელის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 7 პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე**

- 7.1 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდენტების მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი სანქციები:

- 7.1.1 სიტყვიერი ან/და წერილობითი გაფრთხილება, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
  - 7.1.2 ნაშრომის/საგამოცდო დავალების განმეორებით შესრულება;
  - 7.1.3 შესაბამისი სასწავლო კომპონენტისთვის გათვალისწინებული ქულის განულება/დაკლება;
  - 7.1.4 სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება (F);
  - 7.1.5 სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრით;
  - 7.1.6 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
  - 7.1.7 მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა.
- 7.2 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი სანქციები:
- 7.2.1 სიტყვიერი ან/და წერილობითი გაფრთხილება, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
  - 7.2.2 საყვედური პირად საქმეში;
  - 7.2.3 მონიტორინგის დაწესება მის საქმიანობაზე;
  - 7.2.4 შრომის ანაზღაურების დაკავება;
  - 7.2.5 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.
- 7.3 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის ფაქტის განმეორების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს წინა გამოყენებულ სანქციაზე უფრო მკაცრი ზომა 7.2. მუხლით დადგენილი სანქციების ფარგლებში.
- 7.4 აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა, მათი უფლება-მოვალეობანი და მათ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი განისაზღვრება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დებულებით.

**მუხლი 8 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპ(ებ)ის დარღვევის ფაქტებზე სანქციის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი გარემოებები**

- 8.1 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპ(ებ)ის დარღვევისას, კომისია ითვალისწინებს შემდეგ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რაც თავის მხრივ აისახება დისციპლინურ სანქციაზე:
- 8.1.1. შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს:
    - ა) თუ დარღვევის ფაქტი გამოვლინდა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მხრიდან, სწავლების პირველივე ეტაპზე, ამასთან დამრღვევი პირი აპელირებს, რომ მან გაუცნობიერებლად ჩაიდინა გადაცდომა და თუ მანამდე მის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა;
    - ბ) სხვა გარემოება, რომელიც კომისიის წევრების მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას შემამსუბუქებელ გარემოებად.
  - 8.1.2 დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ა) პირის მხრიდან დარღვევის ფაქტი არ არის პირველადი;
- ბ) პირის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტს მოჰყვა სხვა თანმდევი ზიანი უნივერსიტეტისთვის/პერსონალისთვის/სხვა სტუდენტისთვის;
- გ) სხვა გარემოება, რომელიც კომისიის წევრების მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას დამამძიმებელ გარემოებად.

## **მუხლი 9 მონაცემების შენახვა და ანგარიშგება**

- 9.1 აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის პრინციპების დარღვევის შესახებ ინფორმაცია ინახება სტუდენტის ან პერსონალის პირად საქმეში.
- 9.2 ინფორმაცია კონფიდენციალურია და მხოლოდ დაკავშირებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი.
- 9.3 პირის თანხმობის გარეშე, უნივერსიტეტს უფლება არ აქვს გასცეს ინფორმაცია მესამე პირზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## **მუხლი 10 დასკვნითი დებულებები**

- 10.1 საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე კოდექსით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა დებულებებით.
- 10.2 წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
- 10.3 წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.